



ჩვენგური საქართველოა, სიმეში ჩვენ ვართ ყველანი!

# იონიონი

სენაკის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ზონაში

2018 წელი №3 (9426) 1-15 თებერვალი ფასი 40 თეთრი

## მუნიციპალიტეტის მერიაში

## ახალი საბავშვო ბაღის გახსნაზე

### შეხვედრა მასწავლებელთან თვითმართვით აღმინისტრაციულ ერთეულში



სენაკის მუნიციპალიტეტის ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერიაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე

გრიგოლ ბაღათური ადგილობრივ მაცხოვრებლებს შეხვდნენ და მათთან მნიშვნელოვან პრობლემებზე ისაუბრეს. მათ, ასევე, სტიქიის შედეგად დაზიანებული ახლადგადაბენიერებული ობიექტი - მდინარე მეტეხიაზე არსებული რეაბილიტირებული ხიდის ბურჯები და ახლადმოწყობილი გაბიონი დაათვალიერეს. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის შედეგად, აღმოფხვრილია მიმდებარე სავარგულებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საფრთხე.

### ახალგაზრდებში ლიდერული უნარ-ჩვევების გაღრმავებისათვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი ახალგაზრდა ლიდერების ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე იმსჯელეს ახალგაზრდა ლიდერების ეროვნული ასოციაციის



„ალეას“ ინიციატივით შექმნილი „საქართველოს ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმი 2018“-ის სენაკში ჩატარების შესახებ. აღნიშნული პროექტი ქვეყნის მასშტაბით აერთიანებს მოტივირებულ ახალგაზრდებს ლიდერული უნარ-ჩვევების გაღრმავების, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან აქტუალურ პრობლემებზე მუშაობის, დებატების ხელშეწყობის და სხვა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობად. მუნიციპალიტეტის მერი ფორუმის ორგანიზებისა და ჩატარების საქმეში, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართება, ახალგაზრდებს მხარდაჭერას შეჰპირდა.



სენაკში ახალი 2 სართულიანი, თანამედროვე სტანდარტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული საბავშვო ბაღი გაიხსნა. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სასადილო და საძინებელი ოთახები, სამზარეულო და სველი წერტილები, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის და სავინტილაციო სისტემა. ახალი საბავშვო ბაღი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერიაიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა ნუგზარ გაბელიამ დაათვალიერეს. ახალდაგახსნილი საბავშვო ბაღი ატარებს 90 ახალსაზრდეს. პროექტის



ღირებულება 280 000 ლარს შეადგენს. სამუშაოებზე დასაქმებული იყო 20 ადგილობრივი. პროექტი განხორციელდა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით. 2013 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 26 და აშენდა 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობა.

## რეგიონული მართვა-მეთვალყურეობის განყოფილება



თვალის მიკროქირურგიული ჯაგრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ ორგანიზებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ჩატარდა უფასო ოფთალმოლოგიური კონსულტაციები მოსახლეობისთვის. კონსულტაციები, საჭიროების შემთხვევაში შეძლების კვლევებისა და მკურნალობის დაგეგმვით, კლინიკის ზუგდიდის ფილიალის ბრიგადის მიერ განხორციელდა. უფასო კონსულტაციები ამ ეტაპზე ჩაუტარდა 60 მოქალაქეს. კონსულტაციები და შესაბამისად, მკურნალობა თვალზე, პერმანენტულ ხასიათს ატარებს და პერიოდულად გაგრძელდება.

## სპეციალისტების პრემია

სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლის პრემიერა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. წარმოდგენა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებულ ახალგაზრდულ თეატრ „ფიროსმანის“ ნორჩი მსახიობების მონაწილეობით დაიდგა. რეჟისორი - ვეფხვი გორგოძე.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

## მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს მიერთის სხდომა



2018 წლის 2 თებერვალს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული

იყო შემდეგი საკითხების განხილვა. 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 1 თებერვალს შემოსული 64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 5 მომართვაზე (სარეგისტრაციო 31) - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლეობის ცნობის შესახებ“- სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის 40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი.

## გენდერული თანასწორობის სამართლის სხდომა



სულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი. დღის წესრიგის მიხედვით განხილული იყო ერთი საკითხი. 1. „სენაკის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების დონისძიებათა 2018 წლის სამომავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

## შეცდომის გახსნა

2018 წლის 2 თებერვალს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი. დღის წესრიგის მიხედვით განხილული იყო ერთი საკითხი. 1. „სენაკის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების დონისძიებათა 2018 წლის სამომავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ალექსი დემურია, საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში



„პრეტესიული სკოლა ჰმრის მხნესა და ძლიერს მამულიშვილსა“

# წარმატებას ცნობადობა განსაზღვრავს



წლის დასაწყისში ყოველი ადამიანი, უწყება, სამსახური, სასწავლო დაწესებულება აჯამებს განვლილს და სახავს მომავლის პერსპექტივებს.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილება არის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სავაჭრო-საბუნებისმეტყველო დაწესებულება. სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. სწავლებაში დანერგილი უახლესი მეთოდები, ინოვაციები, პროფესიული პროგრამები თითოეულ სტუდენტს აძლევს სათანადო ცოდნას.

შრომის სტუმარი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (სენაკის ბაზა) პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი ქალბატონი მანანა ჭანტურია საუბრობს 2017 წლის შედეგებზე და 2018 წლის ამოცანებზე, საახლებებზე.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილება ასორციელებს 13 პროფესიული პროგრამის დანერგვას სხვადასხვა მიმართულებით. პროფესიული პროგრამების სწავლების მიმართულების განვითარებას ხელს უწყობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები, არასამთავრობო დონორი ორგანიზაციების პროექტები, კონფერენციები, საბილოტე პროგრამები. ყველაზე მნიშვნელოვანი დუალური განათლების სწავლების მეთოდის საბილოტე პროგრამის განხორციელებაა. სენაკის ბაზის პროფესიული განყოფილებისათვის ძალიან დიდი გამოწვევა იყო ჩვეთულებით აღნიშნულ საბილოტე პროგრამაში. დუალური განათლება ანუ საწარმოზე დაფუძნებული სწავლება მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ისეთ ფორმას, სადაც სტუდენტი თეორიულ კომპონენტს შეისწავლის ჩვენს განყოფილებაში, პრაქტიკულ კომპონენტს საწარმოში. ასეთი მიდგომით სტუდენტი თეორიულთან ერთად პრაქტიკულ ცოდნას იღებს და შესაბამისად უფრო მეტად კონკურენტუნარიანია, შრომის ბაზარზე აქვს დასაქმების მეტი შანსი. ჩვენთან ინერგება დუალური პროფესიული განათლების მე-4 საფეხურის „მეხილე“-ს საბილოტე პროფესიული პროგრამა. სტუდენტები ორი დღე თეორიულ სწავლებას გადიან სენაკის ბაზაზე, ხოლო სამი დღე საწარმოში ეუფლებიან კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების ბაღების მოშენების უნარ-ჩვევებს და მოსავლის ადგების მართვას. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები რეალურ სამუშაო გარემოში, შეასაბამი-



- \* წარმატებით მიმდინარეობს საბილოტე პროგრამა
- \* მასშტაბური იყო მენეჯერებისა და ინოვაციების სემინარები უნივერსიტეტში -2017
- \* 2018 -ში დასრულდა სტუდენტთა სასწავლო პროგრამის კორექტივები.
- \* საბაზო განათლების სტუდენტები დიპლომთან ერთად ატმსტატს მიიღებენ



სად იღებენ ანაზღაურებას სტიპენდიის სახით. უნივერსიტეტის სენაკის ბაზა აქტიურად არის ჩართული, პროფესიული განათლებაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრაციის პილოტირებაში. ამ პროექტის განხორციელებაში მხარდაჭერა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი და გაეროს განვითარების პროგრამა. პროექტის მიზანია პროფესიული განათლებაში არსებული სავაჭრო-საბუნებისმეტყველო ნიშის აღმოფხვრა, რაც ნიშნავს, რომ საბაზო (9კლ) განათლების მქონე სტუდენტი პროფესიული კვალიფიკაციის დაკომპლექტებით ერთად საშუალო განათლების ატესტატის მიიღებს და შემდგომ უმაღლესი განათლების მიღებასაც შეძლებს. პილოტირება 2017 წლის ივლისში დაიწყო, დამთავრდება 2019 წელს. პროგრამა „მეხილე“-ზე ჩარიცხულია 16 სტუდენტი მათ შორის 9 საბაზო განათლებით და სწორედ ისინი პროგრამის დასრულების შემდეგ მიიღებენ დიპლომს და საშუალო განათლების ატესტატს.



ჩვეურობით ორი საბილოტე პროექტების განხორციელებაში „საორიენტაციო პროფორინტაციის მოსამზადებელი კურსები სკოლაში“ და „შრომითი უნარების განვითარება სკოლის მოსწავლეებში“ პროექტის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული სენაკის საჯარო სკოლები, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მეორად-დუმი სენაკის №1, №7 და თემურ ბოქუჩაძის სახელობის აფხაზეთის საჯარო სკოლის დირექტორებთან. პროგრამის ფარგლებში დაინერგა სამი მოდული: ცხოველის მოვლა, მებაღეობა და ელექტრომონტორის სპეციალობები, სადაც ჩართულია ზემოთ აღნიშნული სკოლების მე-7, მე-9 კლასის 50-ზე მეტი მოსწავლე. პროექტის მთავარი მიზანია სკოლის მოსწავლეებს შეუქმნათ ნათელი წარმოდგენა კონკრეტულ პროფესიებზე, მიიღონ მეტი ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები, გაეცნონ დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, რაც მისცემს მოტივაციას გააგრძელონ სწავლა შემდეგ საფეხურზე. მოსწავლემ უნდა განსაზღვროს სად ხედავს საკუთარ თავს და სწორად განსაზღვროს მისი მომავალი. 2018 წლიდან სკოლებში კვლავაც გავრცელდება სხვა პროფესიებზე გადამზადების კურსები. რაც ახალგაზრდობას მისცემს პროფესიის არჩევაში სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს. 2017 წლის 4 ოქტომბერს უნივერსიტეტმა სენაკის ბაზაზე უმასპინძლა საკონფერენციო პიკნიკს „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი -2017“ დონისიძეობა იყო მასშტაბური, საინტერესო და ყველა ახალგაზრდას ინტერესებს მორგებული, გამოვლინდა მონაწილეობა სენაკის და მიმდებარე სოფლის სკოლების 200 მოსწავლე. სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ დათვალა უმარაგი საინტერესო სამეცნიერო ექსპერიმენტი და გამოვლინდა, რომელიც წარმოადგინა თბილისის ილიას და ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტებმა. ზუგდიდის უნივერსიტეტმა და სენაკმა ინოვაციები, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა გამზარდა ნასაში გამარჯვებული მოსწავლეების გამოვლინება და ა.შ.



2016-2017წლებში გაეროს განვითარების გენდერის პროექტის ფარგლებში გადამზადდა ქალები და სტუდენტები 6 სხვადასხვა მიმართულებით: მეფუტკრე, მეხილე, მებაღე-მემკერავე, საკვებწარმოება, მეცხოველე, ვეტერინარია. ორთიანი გადამზადების კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელებმა სერტიფიკატები მიიღეს. 2017 წელს საშემოდგომო და სავაზაფხულო მიღება წარმატებით განხორციელდა, 13 პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხა 300 სტუდენტი, ჩარიცხული სტუდენტების სწავლას აფინანსებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სენაკის ბაზაზე წარმატებით მიმდინარე პროექტები, აქტივობები, დანერგილი პროფესიული პროგრამები განხორციელება ხდება უნივერსიტეტის რექტორის ქალბატონ თეონა სუფუნიას მხარდაჭერით და სენაკის ბაზაზე მომუშავე გამოცდილი პედაგოგებისა და ადმინისტრაციის მონაწილეობით. 2018 წელს დასრულდება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, შიდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შემოღობვა, აშენდება ფუტკრის დაბინარება. საგაზაფხულო მიღება ჩატარდება საგნობრივი, მოდულური და დუალური მიმართულებით. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზა გახდა ცნობადი საზოგადოებისათვის, რაც გვაძლევს რწმენას და იმედს შემდგომი განვითარებისათვის.



მოამზადა მეღვა ბელოურიამ

### ყურადსაღები ტრევა სენაკელებისათვის



ქალაქის ბაღი სენაკელებისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ადგილია. იგი თანაბრად ეკუთვნის ყველას. ხანდაზმულს, ახალგაზრდას, მოსწავლეს, მცირეწლოვან ბავშვს. ... ვიდრე თვითონ ააშენებდეთ რამეს, სხვის გაკეთებულს ნუ გატეხავთ, ნუ გააკარავთ, მოუარეთ. ღამის განათება ყველასათვის საჭიროა, რა საკადრისა ნათურის მოხსნა, გადაგდება... ერთად უნდა გავეფრთხილებოდეთ ყოველ ნივთს, თითოეულ ხეს და ბუჩქს...

### მილოცვა

ჩვენს უსაყვარლეს მეგობარს, გარეგნული და შინაგანი ღირსებებით დაჯილდოებულ ადამიანს, ეკა გოგია-ჩიქოვაას ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ღამაზ დღეთა სიმრავლეს, სიხარულს, ბედნიერებას. დეთის წყალობა ნუ მოუშალოს უფალმა.

ღალი არახამია და ირაკლი შონია

დედიკოს და მამიკოს სიხარულს, ბებიების და ბაბუების „ორთავ თვალს“, პატარა დემეტრეს საფიცარ მძა-ოთო შამათავას ვულოცავთ ოქროს დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას, წარმატებულ სწავლას. გაზარდოს უფალმა ჭკვიან, ძლიერ და სახელოვან ქართველად.

„კოლხეთელები“

## „მოგონებანი გარდასულ დღეთა“

ექიმ-სტომატოლოგი ქალბატონი ამალია ხუხუა-იმნაძე სენაკელია. ის გურიაში, ლანჩხუთში ცხოვრობს. ქალბატონი ამალია, როგორც თვითონ აღნიშნავს, 14 წლის ასაკიდან თანამშრომლობდა რედაქციასთან, დედის ნებებზე ქალიშვილმა ოჯახი სიყვარულით შექმნა და ლანჩხუთში დაიბადა.

მან რედაქციას უდიდესი მონატრებით დაწერილი კორესპონდენციები გამოუგზავნა, რომელსაც ახლავს საინტერესო ფოტოები. გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე კორესპონდენციების მოტივებზე დაბეჭდვა ვერ ხერხდება.

ამჟღად მკითხველს ვთავაზობთ „მოგონებებიან“ მონაკვეთს, სადაც ქალბატონი ამალია იხსენებს სკოლაში სწავლის წლებს, პედაგოგებს, შარტავების ოჯახს.

### აღიარება

გასული წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში, 14 დეკემბერს, 90-ე დაბადების დღეს აღიარება და მადლობა გამოუცხადა ქალბატონი ამალია ხუხუა-იმნაძეს. ეს აღიარება მისი ხელმოწერით დასრულდა და მადლობა გამოუცხადა ქალბატონი ამალია ხუხუა-იმნაძისთვის. „ლანჩხუთის პლუსის“ თეატრულმა გამოცემამ წინასწარ აღიარება დასრულდა და თანაგრძობით მისი მოგონებები დაბეჭდვა დაიწყო. ამალია ხუხუა-იმნაძის მოგონებები დაბეჭდვა დაიწყო. ამალია ხუხუა-იმნაძის მოგონებები დაბეჭდვა დაიწყო.



გაზეთ „ლანჩხუთის პლუსის“ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

### ჩემი სკოლა

1946 წელს მეორე საშუალო სკოლაში მიმიყვანეს. არც ერთი ქართული სიტყვა არ ვიცოდი, მიუხედავად ჩემი ოჯახის სტატუსისა. სკოლაში ცისფერთვალეობა, ხანძრობიანი სახის მასწავლებლები, ქალბატონი გოგუცა ნორაკიძე დამხვდა. ენის ბარიერი ძალე გადაილახა. მარტო მე არ ვყოფილვარ ამ დღეში, თითქმის მთელი კლასი. როგორც შემდეგ გავიგე გოგუცა მასწავლებელი პროფესიით ფინანსისტი ყოფილა. შემთხვევით აღმოჩნდა მასწავლებლად. მე კი ვიტყვი, ის განგებით იყო მოწოდებული მასწავლებლად. ანგულორის სახე სამუდამოდ დარჩა ჩემთან უტკბილეს მოგონებად.

სახლიდან გასულელებს პირველ რიგში სკოლა გვაკლავდა მოქალაქეებად. თუკი ვინმე მკითხავს, რომელი პერიოდი ძვირფასი ჩემს ცხოვრებაში, ეს სკოლის წლებია. სკოლამ ყველაზე დიდი ჯილდოთი ოქროს მედლით დამაჯილდოვა და პასუხისმგებლობაც უდიდესი დამაკისრა. ამ სტრუქტურის წერისას ამას ყველაზე მეტად ვგრძობ. ამ სკოლაში ძნელი იყო პედაგოგთა დიდი პროფესიონალური გემოვნების დაკმაყოფილება. თითოეულზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, ვამაყობ, რომ მქონდა ბედნიერება მათი მოწვევა ვყოფილიყავი: განუმეორებელი დირექტორი ნინა გუგუნავა, ვერა ხუხია, ნიკო შამათავა, ალექსანდრე ჩხეტია, ეკატერინე მესხი, ნინა ბობოხიძე, გრიშა ხოფერია, ამბროსი კვიციანი, ეკატერინე (პატარა) გრიგოლი, მიტია ბახტაძე, ლარისა ჩიტაია, ხუტა ბერნატოვიჩი, ხუტა რუსია... არ შეიძლება არ მოვიგონო ჩვენი სკოლის კომპაგმირის კომიტეტის მდივანი ელენე ადამია, რომელიც სულ ბავშვი როგორც ერთხელაა ხომ შელმძღვანელობდა ამ დიდი სკოლის კომპაგმირულ ორგანიზაციას. ჩემი სამადლობელი სიტყვა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, თუ დავევიწყებ განათლების განყოფილების მთელ შემადგენლობას, ბატონ იერეთოზ კერძაიას ხელმძღვანელობით. დიდი პატივისცემით ვიგონებ, თუმცა შიშს კიდევ არ გავუვლია, მათი გამოჩენისას რომ განვიცდიდით. ბონდო უჩანეიშვილის, გური სანიკიძისა და სხვათა მიმართ პატივისცემა უდიდესია.

ჩვენი სკოლის გუნდს ინგლისური ენის მასწავლებელი გვარიშვილობით გამოჩენული თინა ლოლუა ხელმძღვანელობდა. დამამხსოვრდა მისი ჩაცმულობა ინგლისური ელფერით, ჩახვეული ვარცხნილობით. ინგლისური ენის მოძალდების ეპოქაში უფრო ვაფასებ თინა მასწავლებლის პროფესიონალიზმს.

ჩვენი სკოლის საქმიანობა ეს ღამაზი სიმფონიაა ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სიძლიერეზე, რომელიც სათუთად ეხება ნორჩების გულის სიმბებს.

ამჟამად ჩემი სკოლა მისი აღზრდილი გმირის, ქიული შარტავას სახელს ატარებს.

### ქიული შარტავას ოჯახი

სანკტ-პეტერბურგის ქუჩის ბოლოში საკირისაკენ მიმავალ გზაზე უბრალო ხის სახლში ცხოვრობდა საქართველოს გმირის, ქიული შარტავას ოჯახი. ყოველმხრივ პატივსაცემი დედ-მამის შვილი, დედა ეფემია (ფენია) დარასელია მეორე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, გვარიშვილი. გარდა მასწავლებლობისა, ამავდროულად უძღვებოდა სკოლის კედლის გაზეთს. ყოველ კვირას მოუთმენლად ველოდით მის გამოჩენას. გაზეთი დიდ როლს თამაშობდა ჩვენს მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. მინდა წარმოგიდგინოთ ფენია მასწავლებელი, როგორც ოჯახის ბურჯი, სამი მარგალიტივით შეიღის დედა. მუხედავად იმისა, რომ მეუღლე კალისტრატე (კალი) ყოველთვის მადალი თანამდებობის პირი იყო, ფენია მასწავლებელი შეიღებს ქიულის, სოსოს, ციცოს არ ანუ ბივრება, თავიდანვე შრომას აჩვენა. სამივეს თავისი მიწის ნაკვეთი ჰქონდა გამოყოფილი მოსაველეად. მასხოვს, ციცო ისე პატარა იყო, ბაღის სარწყავს ძლივს იჭერდა ხელში და მაინც მუშაობდა. ფენია მასწავლებელი მეუღლისთვის გამოყოფილ სამთავრობო სახლში ცხოვრების დროსაც ახერხებდა შვილების დასაქმებას.

ქიული, ხედმეტი კითხვისგან გადაღლილი, ერთი პერიოდი თავშესაფრული დადიოდა. მასხოვს, ბელადის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ი. ნონიშვილის ლექსის „მამა, ძვირფასო!“ მთელი კვირა ვერავინ შეძლო შესწავლა. მიტინგამდე რამოდენიმე საათი იყო დარჩენილი. მხოლოდ ქიულიმ შეძლო სამგლოვიარო მიტინგზე ბრჭყინავლად წარმდგარიყო. ბევრს იტყვდა მისი გონება. ქალაქში ასე ამბობდნენ: „მუ სქი უნს ფენიას დო კალის.“ (მეგრ. „რა გამოჩენული მემკვიდრე ჰყავს ფენიას და კალის.“) ეს ჩემი ბავშვური სინამდვილის უტყუარი ასახვაა. ქიულის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა, იქორწინა ბავშვობის სიყვარულზე ღია ჯალაღონიანზე. ღია ერთი პერიოდი სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად სტაჟისათვის სენაკის სტომატოლოგიურ პო-

ლეს გვერდიდან არ მოშორებია მის ძნელ სამსახურში. ბოლოს სენაკში კერძო საექიმო პრაქტიკას ეწეოდა საკუთარ სახლში. ამ ქალბატონის საექიმო მოღვაწეობამ განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესია – სტომატოლოგია.

ხუხიების ოჯახის მეორე მამა ბატონი ვალდია (ვლადიმერ) ხუხია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანი, ჩვენი სკოლის ქიმიის კაბინეტს ყოველთვის ამარაგებდა ფრიად საჭირო, იშვიათი რეაქტივებით, ცდების ჩასატარებლად. შედეგად, ჩვენი აზროვნებაც მალადა პორიზონტებს იპყრობდა და თავის სიტყვას ამბობდა რესპუბლიკის მასშტაბით.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ამ ოჯახის კიდევ ერთი მამა პროფესიით აგრონომი იყო, მას შესანიშნავი ოჯახი ამშვენებდა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ ამ ოჯახის თითოეულ წევრს უდიდესი სიყვარულით ვიგონებ. ამ გადასახვიდან სიტყვები: „ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები“ განსაკუთრებულ ძალას იძენს. ამ ოჯახში გრძელდება ტრადიციები. მოგვხსენებთ, ჩვენი ხალხის ბრძნული გამონათქვამი „რაც წერია სახლსა შენსა, არ გადავა კარსა შენსა“ და-მამა საღისა და ალექსანდრე (ალეკო) ხუხიები ემსახურებიან ჩვენს ხალხს. ქალბატონი საღისა განხლებს ექიმთა თერაპევტი, ალექო ხუხია – ნევროპათოლოგი. აფხაზეთის ომამდე მუშაობდა სანატორიუმ „უკრაინაში“. ომის შემდეგ საექიმო მოღვაწეობა გააგრძელა ოდესში.

სამწუხაროდ კარგი ადამიანები ადრე იფერფლებიან. მათი დატოვებული ნათელი კვალი კი ჩვენ გვინათებს. ნათელი ედგას მათ სსოვნას!

ამალია ხუხუა-იმნაძე ფოტომასალა ავტორის არქივიდან

